ვისაც ჩემი ახლობელი მონის წინააღმდეგ მტრობა ექნება, მე მას ომს გამოვუცხადებ. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ისაა, რასაც ჩემი მონა ასრულებს ჩემი სიახლოვის მოსაპოვებლად, და რაც მე მასზე სავალდებულოდ დავაწესე

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: მოციქულმა (ალლაჰის ლოცვდა და მშვიდობა მას) თქვა, რომ ალლაჰმა თქვა: «ვისაც ჩემი ახლობელი მონის წინააღმდეგ მტრობა ექნება, მე მას ომს გამოვუცხადებ. ჩემთვის ყველაზე საყვარელი ისაა, რასაც ჩემი მონა ასრულებს ჩემი სიახლოვის მოსაპოვებლად, და რაც მე მასზე სავალდებულოდ დავაწესე. მაგრამ ჩემი მონა აგრძელებს ჩემი სიახლოვის ძიებას სავალდებულო ქმედებებზე დამატებითი თაყვანისცემით (ნაფილის შესრულებით), სანამ არ შევიყვარებ მას. როცა შევიყვარებ, გავხდები მისი სმენა, რომლითაც ის ისმენს; მისი მზერა, რომლითაც ის ხედავს; მისი ხელი, რომლითაც ის იღებს, და მისი ფეხი, რომლითაც ის დადის. თუ რამეს მთხოვს, აუცილებლად მივცემ მას. თუ ჩემგან დაცვის ძიებას დაიწყებს, აუცილებლად დავიცავ. არაფერში არ ვყოყმანობ ისე, როგორც მორწმუნე მონის სულის გამოყოფაში, რადგან მას სიკვდილი არ სურს, მე კი არ მსურს, რომ მას ტანჯვა მივაყენო».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადის ყუდსიში გვამცნო, რომ ალლაჰმა თქვა: ვინც აწყენინებს ჩემს რომელიმე დაახლოებულს (ავლია) გაანაწყენებს ან სიძულვილს გამოიჩენს მის მიმართ, მე მას ვაუწყებ და ვუცხადებ მტრობას. ალლაჰის დაახლოებული არის(ალ-ვალიუ) ღვთისმოსავი მორწმუნე, და ადამიანის ღვთის სიახლოვის წილი მისი რწმენისა და ღვთისმოსაობის ხარისხზეა დამოკიდებული. ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელია ის, რითაც მუსლიმი ცდილობს მასთან დაახლოებას: მისი მხრიდან იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ალლაჰმა მას დააკისრა — მათ შორის სავალდებულო მოქმედებების შესრულება და აკრძალულიდან თავის არიდება. მუსლიმი განაგრძობს ალლაჰთან დაახლოებას ნაფილებით (დამატებითი მსახურებით), სანამ ალლაჰის სიყვარულს არ მოიპოვებს. როცა ალლაჰი შეიყვარებს თავის მონას, ის ამ მონას მართავს და ასწორებს მისი სხეულის ოთხი ნაწილის მეშვეობით: ალლაჰი მართავს მას მის სმენაში ისე, რომ ის აღარ ისმენს არაფერს, გარდა იმისა რითაც ალლაჰია კმაყოფილი. ალლაჰი მართავს მას მის ხედვაში, ისე რომ ის აღარ უყურებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ალლაჰს უყვარს და კმაყოფილია. ალლაჰი მართავს მას მის ხელში, ისე რომ ის თავისი ხელით აღარ აკეთებს არაფერს, გარდა იმისა, რაც ალლაჰს აკმაყოფილებს. ალლაჰი მართავს მას მის ფეხში, ისე რომ ის არ დადის სხვა რამეზე, გარდა იმისა, რაც ალლაჰს აკმაყოფილებს, და არ ისწრაფვის არაფრისკენ, გარდა იმისა, რაც სიკეთეს მოუტანს. ამასთან, თუ ის ალლაჰს რაიმეს სთხოვს, ალლაჰი აძლევს იმას, რასაც ის ითხოვს, და მისი ვედრება

მიღებული იქნება. ხოლო თუ ის ალლაჰს თავის დაცვისთვის შეაფარებს და დახმარებას ითხოვს, დიდებული ალლაჰი, მას დაიცავს და დაიფარავს იმისგან, რისიც მას ეშინია. შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა, თქვა: არაფერში დავყოყმანობ ისე, როგორც მორწმუნის სულის აღებაში, რადგან ეს მისდამი მოწყალების გამოხატულებაა. მორწმუნეს სიკვდილი არ უყვარს, რადგან მასში ტკივილია, ხოლო ალლაჰს არ მოსწონს ის, რაც მორწმუნეს ტკივილს აყენებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6337

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee